საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

2025 წლის დეკემბერი

06.02.2026
www.geostat.ge

06.02.2026

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში
2025 წლის დეკემბერი

2025 წლის დეკემბერში მშენებლობის ღირებულების ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** 2.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო **წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით** 5.2 პროცენტით.

მათ შორის:

- **საცხოვრებელი სეგმენტის ინდექსი** წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 2.5 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 6.3 პროცენტით;
- **არასაცხოვრებელი სეგმენტის ინდექსი** წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 1.8 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 8.8 პროცენტით;
- **სამოქალაქო სეგმენტის ინდექსი** წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 3.3 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით 2.9 პროცენტით.

მშენებლობის ღირებულების ინდექსი



06.02.2026

2025 წლის დეკემბერში მშენებლობის ღირებულების ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** 2.7 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 15.3 პროცენტიანი ზრდით, რამაც 2.78 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 5.2 პროცენტით. ინდექსის ზრდა, უმეტესწილად, გამოწვეული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 23.9 პროცენტიანი მატებით და სხვა ხარჯების კატეგორიის 4.0 პროცენტიანი ზრდით, რამაც შესაბამისად, 5.09 და 0.24 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში. ამასთან, **2022 წლის თებერვალთან შედარებით** მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 29.2 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის დეკემბერში მშენებლობის ღირებულების ინდექსები (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და მის ფორმირებაში მონაწილე ხარჯების კატეგორიების და სეგმენტების შესაბამისი წვლილები.

სეგმენტი/ ხარჯების კატეგორია	2025 წლის ნოემბერთან	წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2024 წლის დეკემბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
ჯამური CCI	**102.7**	**2.71**	**105.2**	**5.19**
სამშენებლო მასალები	99.9	-0.06	99.9	-0.07
ხელფასები	115.3	2.78	123.9	5.09
მანქანა-დანადგარები	100.0	0.00	101.8	0.07
ტრანსპორტირება, საწვავი, ელექტროენერგია	100.1	-0.01	99.5	-0.13
სხვა ხარჯები	99.8	-0.01	104.0	0.24
CCI საცხოვრებელი სეგმენტი	**102.5**	**1.08**	**106.3**	**2.70**
CCI არასაცხოვრებელი სეგმენტი	**101.8**	**0.26**	**108.8**	**1.27**
CCI სამოქალაქო სეგმენტი	**103.3**	**1.36**	**102.9**	**1.23**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

მშენებლობის ღირებულების ინდექსის წლიური ცვლილების დეკომპოზიცია ხარჯების კატეგორიების მიხედვით



მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება, %

(წინა თვესთან შედარებით)



06.02.2026

მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება, %
(წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით)



მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება, %
(2022 წლის თებერვალთან შედარებით)



საკონტაქტო პირები:

გიორგი თეთრაული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge